მწვანე ბიზნესის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები საქართველოში

სოფია პავლიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანნა თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

სოფია პავლიაშვილი

19.06.2025

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს საქართველოში მწვანე ეკონომიკის ფარგლებში მოქმედი ბიზნესების განვითარების შესაძლებლობები არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში.კვლევის ჰიპოთეზა ეფუძნება ვარაუდს, რომ ქვეყნის ეკონომიკური სირთულეები, მომხმარებელთა ქცევა და სისტემური მხარდაჭერის ნაკლებობა არსებითად აფერხებს მწვანე ბიზნესების ფუნქციონირებასა და ზრდას.

ჩატარდა მეთოდური კვლევა, ანონიმური კითხვარის საშუალებით, საქართველოში მოქმედ ექვს მწვანე ბიზნეს წარმომადგენელ კომპანიასთან, რომლებიც მეორადი ნარჩენების გადამუშავებით და მათგან ახალი პროდუქციის შექმნით არიან დაკავებულნი. შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია: მწვანე ბიზნესი საქართველოში უმეტესად მცირე ზომისაა, ფუნქციონირებს შეზღუდულ ბაზარზე და დამოუკიდებლად ცდილობს გადარჩენას. კვლევამ აჩვენა, რომ ეკოლოგიური ცნობიერება საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იზრდება, თუმცა ეს მათ ქცევაში არ აისახება, ჩვევებისა და ფინანსური მდგომარეობის გამო.

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციამ დაადასტურა ჰიპოთეზა: საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების მთავარი დაბრკოლება მომხმარებელთა ქცევა და ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონეა, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, როგორც სახელმწიფოსთვის ისე მწვანე ბიზნესებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს მდგრადი განვითარებისთვის საჭირო პირობების განსაზღვრა და მწვანე ბიზნესების ხელშეწყობა არსებული რეალობის გათვალისწინებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მწვანე ბიზნესი, მეორადი გადამუშავებული მასალისგან დამზადებული პროდუქცია, ცირკულარული ეკონომიკა.

Abstract

This paper aims to analyze the development opportunities of businesses operating within the green economy framework in Georgia, under the conditions of the country's current social and economic situation. The research hypothesis is based on the assumption that economic difficulties, consumer behavior, and lack of systemic support significantly hinder the functioning and growth of green businesses.

A methodological study was conducted using an anonymous questionnaire with representatives of six green businesses operating in Georgia, all of which are engaged in recycling secondary waste and creating new products from it. The analysis of the results revealed several trends: green businesses in Georgia are mostly small-scale, operate in a limited market, and strive to survive independently. The research showed that while environmental awareness is increasing among certain segments of society, this is not reflected in behavior, largely due to ingrained habits and financial constraints.

The interpretation of the research findings confirmed the hypothesis: the main barriers to green economy development in Georgia are consumer behavior, underdeveloped infrastructure, and overall economic hardship — all of which stem from the country's broader socio-economic conditions. The paper presents recommendations for both the state and green businesses in order to define the conditions necessary for sustainable development and to support green businesses in the context of existing realities.

Keywords: green economy, green business, products made from recycled materials, circular economy.